გრაფიკული პოსტერების კონკურსს სახელწოდებით **„ჩვენი ხსნა ბუნებაშია“.**

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით აცხადებს გრაფიკული პოსტერების კონკურსს სახელწოდებით **„ჩვენი ხსნა ბუნებაშია“.**

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერი ასაკის დაინტერესებულ პირს, რომელსაც:

- სურს, თავისი მცირე წვლილი შეიტანოს 2020 წლის ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღის აღნიშვნაში
- სურს, ხაზი გაუსვას ჩვენს მჭიდრო ურთიერთკავშირს ბუნებასთან

- აქვს მინიმალური უნარები, შექმნას საკუთარი ორიგინალური გრაფიკული პოსტერი

კონკურსში მონაწილეობისათვის პოსტერი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- იყოს ავტორის ორიგინალი ნამუშევარი
- იყოს შესრულებული გრაფიკული დიზაინის ნებისმიერ პროგრამაში
- ასახავდეს ადამიანების სიცოცხლის დამოკიდებულებას ბუნებაზე (ბიომრავალფეროვნებაზე) ან გარემოს ყველა კომპონენტის ურთიერთკავშირს

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა თქვენ მიერ შექმნილი პოსტერები უნდა გამოგვიგზავნოთ არაუგვიანეს **21 მაისისა** ელექტრონულად, PDF ფორმატში ელ.ფოსტაზე: info@eiec.gov.ge.

კონკურსანტებისთვის 22 მაისს გაიმართება ვებინარი ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებით. 3 საუკეთესო პოსტერის ავტორი დასაჩუქრდება სერტიფიკატებითა და სამახსოვრო საჩუქრებით. პრიზების გადაცემა მოხდება საგანგებო სიტუაციის დასრულების შემდეგ .

კონკურსთან დაკავშირებით საკონტაქტო პირია მარიამ ხვედელიძე (ელ.ფოსტა: mariami.khvedelidze@eiec.gov.ge; მობ: 555 566 047).